ოქმი:**ო37. 372629910**
თარიღი:**26/10/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ დავით თოიძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი, 23 ოქტომბერი
სოფელი ნატანები
14:00 -15:00-საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ტ. აროშიძე და პ. კიღურაძე, უმრავლესობის ლიდერი-ქეთევან ხომერიკი.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. აღნიშნა, რომ დავით თოიძე არის პასუხისმგებლიანი, ორგანიზებული საკრებულოს მაჟორიტარი წევრი. აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში, გამოირჩევა ამომრჩევლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მიღწევებსა და გამოწვევებზე ამომრჩევლებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. აროშიძემ და უმრავლესობის ლიდერმა ქ. ხომერიკმა.

საკრებულოს წევრმა დ. თოიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მათ შორის ქვემო ნატანების საჯარო სკოლის და ბავშთა ბაღის უნიკალური შენობების რეაბილიტაციაზე, არსებულ პრობლემებზე. ამომრჩევლებმა დააყენეს რამდენიმე საკითხი: შიდა გზების

მოხრეშვა-სანიღვრე არხების გაწმენდა, სოფლის სასაფლაოების შემოღობვა, ლეკურას სტადიონის აღდგენა, ასევე ცნობილი კოლმეურნეობის თავმჯდომარის გივი წითლიძის სახელის სოფლის რომელიმე ქუჩისთვის მინიჭება.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრის დ. თოიძის საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. ამომრჩევლებმა აღნიშნეს-საკრებულოს წევრი არის ამომრჩევლებისადმი ყურადღებიანი, არ იმსახურებს შენიშვნებს ამომრჩევლების მხრიდან, პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი